

სოხუმის პროფესო აკაკი ჩხარტიშვილის სახელობის
ეკონომიკურ-ჰუმანიტარული უნივერსიტეტი
სამართლის ფაკულტეტი

“ვამტკიცებ”
უნივერსიტეტის რექტორი
ნ. არდაშელია

” — ” ————— 2009 წ.

სადოქტორო პროგრამა

სპეციალობა: სამართლისმცოდნეობა (სამართალი)

სპეციალიზაცია: კერძო-სამართლებრივი (სამოქალაქო
სამართალი და სამოქალაქო პროცესი)

აკადემიური ხარისხი: სამართლის დოქტორი

პროგრამის ხელმძღვანელი – პროფესორი ირაკლი შენგელია

2009 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

I.	სადოქტორო პროგრამის ზოგადი დახასიათება	3
	<i>I.1. პროგრამის მიზანი და ამოცანები</i>	<i>3</i>
	<i>I.2. პროგრამაზე მიღების მოთხოვნები</i>	<i>3</i>
	<i>I.3 პროგრამის ხანგრძლივობა.</i>	<i>3</i>
	<i>I.4. აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნა.</i>	<i>4</i>
	<i>I.5. პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნა.</i>	<i>4</i>
II.	პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება	4
	<i>II.1. პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნა</i>	<i>4</i>
	<i>II.2. დოქტორანტურის კურსდამთავრებულის კომპეტენციები</i>	<i>4</i>
	<i>II.3. დოქტორის პროფესიული საქმიანობის სფერო</i>	
III.	სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	4
	<i>III.1. სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა</i>	<i>4</i>
	<i>III.2. სადოქტორო პროგრამის სასწავლო პროცესის გეგმა</i>	<i>5</i>
	<i>III.3. სადოქტორო პროგრამის სასწავლო დისციპლინათა შინაარსი</i>	<i>7</i>

I. სადოქტორო პროგრამის ზოგადი დახასიათება

პროგრამის მიზანი და ამოცანები

უნივერსიტეტის დოქტორანტურა არის უმაღლესი განათლების მესამე საფეხური– სასწავლო პროგრამების და სამეცნიერო კვლევების ერთობლიობა. დოქტორანტურის მიზანია სამეცნიერო–კვლევითი, პედაგოგიური და სხვა სახის პროფესიული საქმიანობისათვის სპეციალისტების მომზადება, რომლებიც ფლობენ სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგიას, გამოირჩევიან მეცნიერული ძიებისა და მიგნების უნარით, იცნობენ შესაბამის დარგში არსებულ სიახლეებს, ინფორმაციის დამუშავებისა და გამოყენების მეთოდებს, იქნებიან პროფესიული მოღვაწეობის შესაბამისი სფეროების ლიდერები.

წინამდებარე სადოქტორო პროგრამა არის სასწავლო პროგრამებისა და სამეცნიერო კვლევების ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს სამეცნიერო კადრის მომზადებას და მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.

სადოქტორო პროგრამის ფარგლებში სწავლება მიმდინარეობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) ძირითადი მოთხოვნების გათვალისწინებით. სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესი ეფუძნება სააუდიტორო და დამოუკიდებელი მუშაობის ფორმებს.

სასწავლო კომპონენტი მოიცავს სამ მოდულს:

- I. მოდული «A» – საბაზისო ზოგადპროფესიული დისციპლინები (სავალდებულო);
- II. მოდული «B» – სპეციალობის საბაზისო დისციპლინები (სავალდებულო);
- III. მოდული «C» - სპეციალიზაციის დისციპლინები (სავალდებულო და არჩევითი).

პროგრამის მიზანია საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების სტრუქტურებისთვის ისეთი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შესაბამისი სფეროს ლიდერები იქნებიან. მათ უნდა ჰქონდეთ უნარი, შექმნან ახალი ცოდნა, კრიტიკულად გაანალიზონ დაგროვილი იდეები და პასუხისმგებლობით მოეკიდონ ამ იდეის ტრანსფორმაციასა და გავრცელებას პუბლიკაციების, სწავლებისა და პრაქტიკაში დანერგვის გზით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დოქტორანტის მომავალი პროფესორად ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების შექმნას.

პროგრამაზე მიღების მოთხოვნები

დოქტორანტურაში მიღების აუცილებელი პირობაა მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ქონა, სამეცნიერო თემატიკის არსებობა და სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის წინასწარი თანხმობა. არაა აუცილებელი სადისერტაციო თემის ზუსტად განსაზღვრა, მაგრამ დოქტორანტობის კანდიდატმა მკაფიოდ უნდა წარმოადგინოს მისი სამეცნიერო ინტერესების სფერო. სამეცნიერო ხელმძღვანელმა კი უნდა დაადასტუროს ამ სფეროში კვლევის წარმოების მიზანშეწონილობა. კომისია იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატის დოქტორანტურაში მიღების შესახებ, რაც სწავლის საფასურის ნაწილის გადახდის შემდეგ ფორმდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

დოქტორანტურაში მიღების წესში ცვლილებები შეიძლება შევიდეს ყოველი სასწავლო წლის ბოლოს.

პროგრამის ხანგრძლივობა

სადოქტორო პროგრამის ხანგრძლივობაა სამი წელიწადი. საპატიო მიზეზის არსებობისას შესაძლებელია მისი გაგრძელება.

აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნა

აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად დოქტორანტს მოეთხოვება სადოქტორო პროგრამის სრულად ამოწურვა და კვლევის შედეგების ძირითადი ნაწილის წინასწარი გამოქვეყნება.

პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნა

სპეციალობისა და სპეციალიზაციების სავალდებულო და ასარჩევის საგნების წარმატებით შესწავლა და ჩაბარება, სასწავლო კომპონენტების დასრულებისას საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება სპეციალიზაციაში(სასწავლო კომპონენტში შედის პროფესიონალური პრაქტიკის გავლა უმაღლეს სასწავლებლებში, სამართალდამცავ და მართლმსაჯულების სტრუქტურებში, აგრეთვე საკანონმდებლო და აღმასრულებელ სფეროში).

II. პროგრამის საკვალიფიკაციო დახაიათება

პროგრამის საკვალიფიკაციო მოთხოვნა

დოქტორანტს მოეთხოვება სპეციალობისა და სპეციალიზაციების სავალდებულო და ასარჩევი საგნების წარმატებით შესწავლა და ჩაბარება, სასწავლო კომპონენტების დასრულებისას საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება სპეციალიზაციაში (სასწავლო კომპონენტში შედის პროფესიონალური პრაქტიკის გავლა უმაღლეს სასწავლებლებში, სამართალდამცავ და მართლმსაჯულების სტრუქტურებში, აგრეთვე საკანონმდებლო და აღმასრულებელ სფეროში).

დოქტორანტურის კურსდამთავრებულის კომპეტენციები

დოქტორს უნდა ჰქონდეს თავისი დარგის სისტემური აღქმის უნარი და მასთან დაკავშირებული კვლევის მეთოდები. მას უნდა შეეძლოს ახალი და კომპლექსური იდეების კრიტიკული ანალიზი, შეფასება და სინთეზი. სამეცნიერო პრობლემების ორიგინალური კვლევებით უნდა მოიპოვოს ფართო აღიარება. სამართლის დოქტორი, რომელსაც ფართოდ შეუძლია იურისპრუდენციასა და მომიჯნავე სფეროებში მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების გენერაცია, კონსერვაცია და ტრანსფორმაცია, ძირითადად უმაღლესი აკადემიური სკოლის შევსებას უნდა წარმოადგენდეს. მათ უნდა აღზარდონ

უმაღლესი განათლების რეფორმების მოთხოვნათა შესაბამისი მაღალკვალიფიციური სამართლისმცოდნეები. დოქტორს შეუძლია, დაიკავოს ნებისმიერი თანამდებობა, რომელიც საქართველოს ხელისუფლების მიერ დადგენილი საშტატო ნომეკლატურით მხოლოდ საუნივერსიტეტო იურიდიული განათლების უმაღლესი საფეხურის კურსდამთავრებულისთვის იქნება განსაზღვრული.

დოქტორის პროფესიული საქმიანობის სფერო

სამართლის დოქტორს შეუძლია იყოს პროფესორი, მოსამართლე, პროკურორი, ადვოკატი, ნოტარიუსი, სახელმწიფო მოხელე.

III. სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა

სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტებისგან. დოქტორანტებმა უნდა შეისწავლონ როგორც სპეციალობის, ისე სპეციალიზაციის საგნები, რომელთა სილაბუსებში გათვალისწინებული იქნება შესასწავლი საკითხები და მეთოდები (სამი სავალდებულო და ოთხი არჩევითი საგანი). სწავლების დროს გამოყენებული იქნება ლექციების შემოკლებული კურსი. მეტი ყურადღება დაეთმობა სემინარების ფორმატს, რომელთა მეშვეობითაც დოქტორანტებს ექნებათ ცალკეული თემების დამოუკიდებლად წარმოდგენის, დისკუსიის, აზრთა გაცვლის საშუალება. აკადემიური დისციპლინების შესწავლის ეს ფორმა შერწყმული უნდა იყოს პრაქტიკულ სამუშაოსთან, რაც მათ კვლევის ყველაზე უფრო თანამედროვე მეთოდების ათვისების საშუალებას მისცემს. განსაკუთრებული ყურადღება მიენიჭება უმაღლესი სკოლის პედაგოგიკისა და განათლების მართვის შესწავლას. მომავალმა დოქტორანტებმა უნდა იცოდნენ, თუ როგორ უნდა ასწავლონ სტუდენტებს ესა თუ ის დისციპლინა, როგორ იკვლიონ და მოაწყონ პრეზენტაციები. კომუნიკაციებისა და მენეჯმენტის ცოდნა მათი დასაქმების მრავალგვარობიდან გამომდინარე, გაადვილებს არა მარტო სხვა პირებთან ურთიერთობას, არამედ შექმნის მნიშვნელოვანი ინტერდისციპლინური პროექტების ხელმძღვანელობის შესაძლებლობას და მომავალი ლიდერის ჩამოყალიბების პროცესს დააჩქარებს.

სასწავლო კომპონენტში შედის ოთხი საგნის შესწავლა და პროფესიონალური პრაქტიკის გავლა. კომპონენტი დამთავრდება მესამე სემესტრის ბოლოს საკვალიფიკაციო გამოცდით. სასწავლო კომპონენტზე გათვალისწინებული იქნება 60 კრედიტი. პრაქტიკულად დაიწყება სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელება. პირველ სემესტრში დამტკიცდება სადისერტაციო შრომის თემა და დოქტორანტი შეუდგება შესაბამისი ლიტერატურის მოძიება-დამუშავებას. მესამე და მეოთხე სემესტრში მან მონაწილეობა უნდა მიიღოს სამეცნიერო სემინარში. მეხუთე და მეექვსე სემესტრი მთლიანად უნდა დაეთმოს დისერტაციის გაფორმებასა და წარდგენას. სამეცნიერო-კვლევითმა კომპონენტმა უნდა მოიცვას 120 კრედიტი. ყოველ სემესტრში დოქტორანტი ასრულებს 30 კრედიტის სამუშაოს როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების ჯამის სახით. 1 კრედიტი

შეესაბამება 25 საათს და გულისხმობს დოქტორანტის მიერ პროგრამის დაუფლებას როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის გზით.

სადოქტორო პროგრამის წარმატებით გავლისა და სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე სადისერტაციო ნაშრომის საჯაროდ დაცვის შემდეგ, დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი და ეძლევა სათანადო დიპლომი. დიპლომთან ერთად გაიცემა ECTS ნიმუშის დიპლომის დანართი.

სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული საგნები:

1. პედაგოგიკის საფუძვლები
(უმალესი სკოლის პედაგოგიკა და ინტერპერსონალური ურთიერთობები)

ამ დისციპლინას სწავლობს სამართლის სპეციალობის ყველა დოქტორანტი სპეციალიზაციათა ჯგუფების მიხედვით.

2. თანამედროვეობის სამართლებრივი სისტემები

ამ დისციპლინას სწავლობს იგივე სპეციალობის ყველა დოქტორანტი სპეციალიზაციათა ჯგუფების მიხედვით.

3. სამოსამართლო სამართლის როლი პირად და ქონებრივ ურთიერთობათა რეგულირებაში

ამ დისციპლინას შეისწავლიან მხოლოდ კერძო-სამართლებრივი სპეციალიზაციის დოქტორანტები.

4. ა). მორალური ზიანის ანაზღაურების პრობლემა სამოქალაქო სამართალში
ბ). სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია
გ). საფინანსო ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების სრულყოფის პრობლემები
დ). კოლიზიური ნორმები საერთაშორისო კერძო სამართალში.

ამ დისციპლინებიდან ერთ-ერთს ირჩევს კერძო-სამართლებრივი სპეციალიზაციის დოქტორანტი. ასარჩევი დისციპლინა სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული პროფილის ამსახველი უნდა იყოს და მისი შესწავლა განხორციელდება ორ ან სამ დოქტორანტიან ჯგუფში.

სასწავლო პროცესის გეგმა

რიგითი	საკონტაქტო საათების განაწილება	საათების განაწილება სასწავლო დროში

	სადოქტორო პროგრამის მოდულები	სავალდებულო	არჩევითი	სულ	I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	VI სემესტრი
I	საბაზისო მოდული (სავალდებულო)	18		18	☑				
II	სპეციალობის მოდული (სავალდებულო)	36		36	☑				
III	სპეციალიზაციის მოდული (სავალდებულო)	36		36		☑			
IV	სპეციალიზაციის მოდული (არჩევითი)	-		36		☑	☑		
VI	პედაგოგიური პრაქტიკა							☑	
VII	საკვალიფიკაციო გამოცდები							☑	
VIII	სადოქტორო ნაშრომი								☑

დოქტორანტის დატვირთვა (სააუდიტორიო და დამოუკიდებელი დატვირთვა)		
საბაზისო დისციპლინები		5 კრედიტი
სპეციალობის დისციპლინები		10 კრედიტი
სპეციალიზაციის დისციპლინები (სავალდებულო)	საათი	15 კრედიტი
სპეციალიზაციის დისციპლინები (არჩევითი)	საათი	20 კრედიტი
სულ თეორიული სწავლება	საათი	კრედიტი

კვლევითი სამუშაო		
	საათი	კრედიტი
	საათი	კრედიტი
სადოქტორო ნაშრომი	საათი	კრედიტი
სადოქტორო ნაშრომის დაცვა	საათი	კრედიტი
საკვალიფიკაციო გამოცდები	საათი	კრედიტი
სულ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაო	საათი	კრედიტი

სულ დოქტორანტის მომზადების დრო:	საათი (*)	კრედიტი
(*) ყველა მონაცემები მოცემულია ასტრონომიულ საათებში		

სადოქტორო პროგრამის სასწავლო დისციპლინათა შინაარსი

1. საბაზისო მოდული სავალდებულო დისციპლინა

1. 1. უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის და ინტერპერსონალური ურთიერთობები

სასწავლო კურსის მიზანი :

საგნის სწავლების ძირითადი მიზანია მომავალ მეცნიერ თანამშრომლებსა და უმაღლესი სკოლის პედაგოგებს მივაწოდოთ პედაგოგიური თეორიისა და პედაგოგიური ოსტატობის, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მართვის თეორიული საფუძვლები; აგრეთვე პიროვნებათაშორისი ურთიერთობების არსი და სპეციფიკა, რომელსაც ადგილი აქვს უმაღლესი სკოლის პედაგოგსა და სტუდენტს, მომავალ ლიდერსა და ჯგუფს შორის და ა.შ. ავუხსნათ დოქტორანტს, რომ ინტერპერსონალური ურთიერთობები შედარებით ფართე ცნებაა, რომლის საფუძველს სოციალური სუბიექტების ურთიერთქმედება წარმოადგენს. სწორედ აქედან გამომდინარეობს ის, რომ ადამიანის სოციალური ფსიქოლოგიის წყაროდ და საფუძვლად საყოველთაოდ მიჩნეულია პიროვნებათაშორისი ურთიერთობები.

სეგმენტში “უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა” დოქტორანტს საშუალება ეძლევა პრერეკვეზიტული ცოდნის ბაზაზე, რაც მათ მიღებული აქვთ ზოგად საუნივერსიტეტო დისციპლინების (ფილოსოფია, ლოგიკა, ისტორია და ა.შ.) ციკლის გავლის შედეგად, დაეუფლოს პედაგოგიური ცოდნის საფუძვლებს. ამასთან პედაგოგიკის დებულებები უმთავრესად განიხილება უმაღლესი სკოლის კუთხით. ეს ცოდნა ახალგაზრდა მეცნიერს საშუალებას აძლევს დაეუფლოს პედაგოგიურ ოსტატობას, აწარმოოს პედაგოგიური საძიებო-ექსპერიმენტული მუშაობა იმ სამოქმედო არეალში, რომელიც მიეკუთვნება მის კონკრეტულ პროფესიულ კომპეტენტურობას.

დისციპლინის შესწავლის ამოცანები :

- გააცნოს დოქტორანტს პედაგოგიკის ფუნდამენტური თეორიული დებულებები, თანამედროვე პედაგოგიური აზროვნების განვითარების ძირითადი მიმართულებები.
- ხელი შეუწყოს უმაღლესი სკოლის მომავალი პედაგოგის პროფესიულ-პედაგოგიური აზროვნების ჩამოყალიბებას.
- გაუღვივოს ინტერესი პრაქტიკული პედაგოგიური საქმიანობისა და პედაგოგიური შემოქმედებისადმი.

- გააცნოს დოქტორანტს ინტერპერსონალური ურთიერთობების კანონზომიერებები და ფუნქციები, რომელიც ითვალისწინებს არა მხოლოდ კომუნიკაციურ და პერცეპტუალ მხარეებს, არამედ ინტერაქტიულ ფუნქციასაც, რაც თავის მხრივ, შესაძლოა, იქცეს პიროვნებათაშორისი კონფლიქტების აღმოცენების საფუძვლად.
- მისცეს დოქტორანტს პიროვნებათაშორისი კონფლიქტური თუ პედაგოგიური საქმიანობისას აღმოცენებული კონფლიქტური სიტუაციების გადაჭრის სათანადო ცოდნა და ჩვევები.
- გააცნოს დოქტორანტს ადამიანის თვითკონტროლის სახეები და ფუნქციები.

უმაღლესი სკოლის პედაგოგიკისა და ინტერპერსონალური ურთიერთობების კურსის გავლის შემდეგ:

დოქტორანტმა უნდა იცოდეს

- საგნის არსი; უმაღლესი სკოლის პედაგოგიური თეორიის საფუძვლები;
- პედაგოგიური კვლევების მიზნები და მეთოდები;
- პედაგოგიკის ძირითადი კატეგორიები;
- პედაგოგიური ოსტატობის საფუძვლები;
- უმაღლესი განათლების განვითარების ისტორია საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ.
- სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები და მეთოდები;
- თვითკონტროლი ფსიქიკური მოვლენების სფეროში;
- მცირე ჯგუფთან ურთიერთობა;
- პიროვნებათაშორისი ურთიერთგაგების ისეთი მექანიზმები, როგორცაა იდენტიფიკაცია, ემპათია, ექსპრესია, რეფლექსია და ა.შ.

დოქტორანტმა უნდა შეძლოს

- გამოიყენოს შექმნილი ცოდნა და უნარ-ჩვევები ცხოვრებისა და საქმიანობის სხვადასხვა სფეროში;
- გაანალიზოს პედაგოგიური და ფსიქოლოგიური სიტუაციები;
- გამოიყენოს პედაგოგიური და ინტერპერსონალური თეორიები სასწავლო პროცესში და პროფესიულ პრაქტიკაში;
- იმუშაოს სპეციალურ პედაგოგიურ და ფსიქოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაზე.

დოქტორანტი უნდა ფლობდეს

- თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობაში მიღებული ცოდნის სწავლების ხერხებს;
- ინფორმაციის, იდეის, პრობლემის და მისი გადაჭრის გზების მიწოდების უნარს;

ძირითადი ლიტერატურა:

1. მაღაზონია შ. პედაგოგიკა. თბ. 2001.
2. პედაგოგიკის ისტორია. თბ. 1998.
3. Подласый И. П. Педагогика. М., 1996, 1998, 2000.
4. Антология гуманной педагогики. М., 1997-2006 (в 30-ти томах).
5. Амонашвили Ш. А. Педагогическая симфония. М., 2002.
6. Педагогическое наследие. Хрестоматия (Я. А. Коменский, Дж. Локк, Ж.-Ж. Руссо, И. Г. Песталоцци). М., 1989.
7. Пионова Р. Педагогика высшей школы. М., 2002.
8. აქტიური სწავლების მეთოდების სახელმძღვანელო. თბილისი, 2001წ.
9. Маиерс Д. Социальная психология, СПб, 1999.
10. Рудежский Е.В. Курс лекций. М., 2000.
11. Грейс Краиг. Психология развития. М;СПб, 2006.
12. პედაგოგიური და ასაკობრივი ფსიქოლოგია /პეტროვსკის რედაქციით/. თბილისი, 1986წ.

INTERNET წყაროები:

1. www.iet.mesi.ru/mat2htm. Виртуальный учебный курс «Основы педагогики высшей школы».
2. ped.vslovar.org.ru. Педагогика высшей школы. Визуальный словарь.
3. www.shool.edu.ru/re500doc.
4. <http://bologna.spb.edu.ru>.

დამხმარე ლიტერატურა:

1. ჯიბლაძე გ. უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა. თბ. 1986.
2. Андреев А. А. Педагогика высшей школы. М., 2002
3. Реан А. А., Коломинский Я. Л. Социальная педагогическая психология. СПб, 1999
4. Антология гуманной педагогики. М., 1997-2006 (в 30-ти томах).
5. Засобина Г. А., Кабыльницкая С. Г., Савин Н. В. Практикум по педагогике. М., 1997.
6. Леонтьев А. Н. Педагогическое общение. М., 1979.
7. Буланова-Топоркова М. В. Педагогика и психология высшей школы. Учебное пособие. М., 2002.
8. Амонашвили Ш. А. Личностно-гуманная основа педагогического процесса. М., 1999.
9. Смирнов С. Д. Психология и педагогика высшего образования: от деятельности к личности. М., 2001.
10. Орлов А. А., Агафонова А. С. Введение в педагогическую деятельность. Практикум. Учебно-методическое пособие. М., 2004.
11. Талызина Н. Ф. Задачи создания частных методик в высшей школе. Научные основы преподавания в высшей школе. М., 1978.
12. Талызина Н. Ф. Управление процессом усвоения знаний. М., 1984.

13. Бибрик Р. Р., Васильев И. А. Особенности мотивации и целеобразования в учебной деятельности студентов младших курсов. // Вестник Московского университета. Сер. 14. 1987, № 2, с. 20-30..
14. Фреире П. Педагогика угнетенных. М. 1987 и последующие издания.
15. Брунер Дж. Культура образования. М., 1999.
16. Ушинский К. Д. Человек как предмет воспитания. Опыт педагогической антропологии. (Избранные педагогические сочинения в 6-ти томах, М., 1990, т. 5, 6.).
17. Блонский П. П. Педология. М., 1999.
18. Выготский Л. С. О педологии и смежных с нею науках. (Избранные труды. М., 1999).
19. აქტიური სწავლების მეთოდების სახელმძღვანელო. თბილისი, 2001წ.
20. ბაძაღუა მ. იურიდიული პედაგოგიკა. თბ., 2006.
21. Маклаков А.Г. Общая психология, Питер, 2005.
22. Немов Р.С. Практическая психология, М., 1998.
23. Психология // под ред. Дружинина В.П.// Питер, 2001.
24. Психология //под ред.КриловаА.А.// Учебник М., 1999.
25. Психология подростка //под ред. РеанаА.А.//, М., 2003
26. Платонов Д.М. Социальная психология поведения Питер, 2006
27. Радугин А.А. Психология. Учебное пособие, М., 2001
28. Рабочая книга практического психолога //под ред. Бодалева А.А.// М., 2001
29. Социальная психология //под ред. Предвечного Г.П. и Шерковина Ю.А.// М., 1975
30. Амонашвили Ш. А. Школа жизни. М., 1998.

2. სპეციალობის მოდული სავალდებულო დისციპლინა

2.1. თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები

სასწავლო კურსის მიზანი

მსოფლიოში დღეს მიმდინარე გლობალიზაციისა და სამართლის ნორმათა ჰარმონიზაციის პერიოდში, საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობების პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მსოფლიოს სამართლის სისტემების ცოდნას, განსაკუთრებით კი იმ სისტემებისა, რომლებიც მსოფლიოში შედარებით უფრო გავრცელებულია. აქედან გამომდინარე სამართლის სისტემების შესწავლას დიდი ყურადღება ეთმობა უმაღლეს სასწავლებლებში.

ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე დოქტორანტურაში საგნის „თანამედროვეობის სამართლებრივი სისტემების“ სწავლების ძირითადი მიზანია მომავალ მეცნიერ იურისტებს:

- გავაცნოთ მსოფლიოში გავრცელებული სამართლის სისტემები;
- დავანახოთ ის განსხვავებები რაც ამ სისტემებს შორის არსებობს;
- გავაცნოთ ზოგიერთ სამართლებრივად ძლიერ ქვეყნებში სამართლის წყაროები და სამართლის ძირითადი ინსტიტუტები;

- მოკლედ შევასწავლოთ სამართლებრივად განვითარებული ამათუიმ ქვეყნის კერძო და საჯარო სამართლის ზოგიერთი დარგი და ინსტიტუტი;
- გაკეთდეს ამ დარგებისა და ინსტიტუტების ქართულ სამართალთან შედარებით სამართლებრივი ანალიზი.

დისციპლინის შესწავლის ამოცანები

სასწავლო კურსის მიზნებიდან გამომდინარე სწავლის უმთავრესი ამოცანაა სამართლის სისტემების გაცნობის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დოქტორანტს:

- გამოუმუშავოს აღნიშნული სასწავლო კურსის უკეთ გაგებისა და გამოყენების უნარი;
- გამოუმუშავოს განსხვავებული სამართლის სისტემებში გარკვევის უნარ-ჩვევები.
- გამოუმუშავოს განსხვავებული სამართლის სისტემებში არსებული იურიდიული ტერმინების სწორად თარგმნისა და გაგების შესაძლებლობები და უნარი.

საგნის გავლის შემდეგ დოქტორანტმა უნდა იცოდეს:

- საგნის არსი; მსოფლიოს სამართლის სისტემები;
- სამართლის სისტემების კვლევის მიზნები და მეთოდები;
- ის ძირითადი ქვეყნები რომლებიც მიეკუთვნებიან ამათუიმ სამართლის სისტემას;
- შედარებით სამართლებრივი ანალიზის გაკეთება;
- სამართლებრივად წამყვან ქვეყნებში სამართლის განვითარების ძირითადი მიმართულებები;

დოქტორანტს ასევე უნდა შეეძლოს:

- გამოიყენოს შექმნილი ცოდნა და უნარ-ჩვევები პრაქტიკული თუ სამეცნიერო საქმიანობის სფეროში;
- იმუშაოს სამეცნიერო ლიტერატურაზე
- სწორად გაიგოს უცხოენოვანი იურიდიული ტერმინოლოგია
- შექმნილი ცოდნა გამოიყენოს ქართული სამართლის განვითარებისათვის.

დოქტორანტურისათვის წარმოდგენილი კურსი შეიცავს შემდეგ თემებს:

თემა 1

თანამედროვე ძირითადი სამართლებრივი სისტემების თავისებურება

თანამედროვე ძირითადი სამართლებრივი სისტემების ცნება სამართლებრივი სისტემის არსი, სამართლებრივი სისტემების კლასიფიკაცია, სამართლებრივი სისტემების დადგენის მნიშვნელობა სამართლებრივი პოლიტიკის ფორმირებაში.

თემა 2

საერთო სამართლის სისტემა

საერთო სამართლის სისტემის ჩამოყალიბების ისტორიული

თავისებურება. საერთო სამართლის წყაროები; საერთო სამართლის არსი, სისტემა და სტრუქტურა. კანონის, ჩვეულებისა და სასამართლოს პრაქტიკის ადგილი საერთო სამართლის სისტემაში. საერთო სამართლის სისტემის ელემენტები ქართულ კანონმდებლობაში.

თემა 3

რომანულ-გერმანული სამართლის სისტემა

რომანულ-გერმანული სამართლის სისტემის ჩამოყალიბების ისტორიული თავისებურება. რომანულ-გერმანული სამართლის წყაროები; რომანულ-გერმანული სამართლის არსი, სისტემა და სტრუქტურა. კანონის, ჩვეულებისა და სასამართლოს პრაქტიკის ადგილი რომანულ-გერმანული სამართლის სისტემაში. რომანულ-გერმანული სამართლის სისტემის ელემენტები ქართულ კანონმდებლობაში.

თემა 4

რელიგიური სამართლის სისტემა

მუსულმანური სამართლის სისტემის ჩამოყალიბების ისტორიული თავისებურება. მუსულმანური სამართლის წყაროები; მუსულმანური სამართლის არსი, სისტემა და სტრუქტურა. კანონის, ჩვეულებისა და სასამართლოს პრაქტიკის ადგილი მუსულმანური სამართლის სისტემაში.

ინდუსური სამართლის სისტემის ჩამოყალიბების ისტორიული თავისებურება. ინდუსური სამართლის წყაროები; ინდუსური სამართლის არსი, სისტემა და სტრუქტურა. კანონის, ჩვეულებისა და სასამართლოს პრაქტიკის ადგილი მუსულმანური ინდუსური სამართლის სისტემაში.

ნაწილი II

საერთო სამართალი

თემა 5

ინგლისური სამართლის სისტემა.

რომის სამართალი ინგლისში. რომის სამართალი შოტლანდიაში იურიდიული განათლება და იურისტის პროფესია ინგლისში. სასამართლო სისტემა ინგლისში. სახელშეკრულებო სამართალი. საკორპორაციო სამართალი. სისხლის სამართალი.

თემა 7

ამერიკის შეერთებული შტატების სამართლის სისტემა

ამერიკის სამართლის ჩამოყალიბება და განვითარება. იურიდიული განათლება და იურისტის პროფესია აშშ-ში. ამერიკის სასამართლო სისტემა. ამერიკის სახელშეკრულებო სამართალი. ამერიკის საკორპორაციო სამართალი. ამერიკის სამოქალაქო საპროცესო სამართალი. ამერიკის

სისხლის სამართალი. ამერიკის სისხლის სამართლის პროცესი.

თემა 8

ავსტრალიის სამართლის სისტემა

ავსტრალიის სამართლის ჩამოყალიბება და განვითარება. იურიდიული განათლება და იურისტის პროფესია ავსტრალიაში. ავსტრალიის სასამართლო სისტემა. ავსტრალიის სახელშეკრულებო სამართალი. ავსტრალიის სისხლის სამართალი.

თემა 9

რომანულ – გერმანული სამართალი

ფრანგული სამართლის სისტემა

სასამართლო სისტემა საფრანგეთში. იურიდიული განათლება და იურისტის პროფესია საფრანგეთში. საფრანგეთის სამოქალაქო სამართალი. სავაჭრო სამართალი. საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო სამართალი. საფრანგეთის სისხლის სამართალი.

თემა 10

გერმანული სამართალი

სასამართლო სისტემა. იურიდიული განათლება და იურისტის პროფესია გერმანიაში. სამოქალაქო სამართალი. სამოქალაქო საპროცესო სამართალი. სისხლის სამართალი.

თემა 11

რუსეთის სამართალი

სასამართლო სისტემა. იურიდიული განათლება და იურისტის პროფესია რუსეთში. სამოქალაქო სამართალი. სამოქალაქო საპროცესო სამართალი.

ძირითადი ლიტერატურა:

თემა 1

თანამედროვე ძირითადი სამართლებრივი სისტემების თავისებურება

1. რ.დავიდი, თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები. თბ.1993
2. კონრად ცვაიგერტ, ჰაინ კოტცი შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში

3. Д. Джифорд, К. Джифорд, Прфвовая система Австралии, 1988
4. Саидов А.Х. Сравнительное правоведение (основные правовые системы современности): Учебник / Под ред. В.А. Туманова. М., 2000
5. Решетников Ф. М. Правовые системы стран мира. Справочник - М.: Юридическая литература, 1993.
6. Марченко М.Н. Курс сравнительного правоведения. М.: ООО «Городец–издат», 2002
7. Марченко М.Н. Сравнительное правоведение. М., 2001
- А.Х.Саидов. Введение в основные правовые системы современности. Ташкент, 1988г.
8. Рене Давид. Основные правовые системы современности. Москва, Международные отношения. 1999г.
- 9.. Правовые системы стран мира. Энциклопедический справочник. М., 2001.
- . 10. Осакве К. Сравнительное правоведение в схемах. М., Дело, 2000.
11. Алексеев С.С. Правовые системы мира - Теория государства и права. Учебник для юридических вузов и факультетов - <http://lawref.narod.ru/uchtgp/1/332>.

თემა 2 საერთო სამართლის სისტემა

1. რ.დავიდი, თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები. თბ.1993
2. ნადარეიშვილი გ. - სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია თბ. 2002
3. ნადარეიშვილი გ. ნარკვევები სამართლის ისტორიიდან თბ. 1996
4. შუა სს–ის სამართალი (XI-XVსს) შეადგინა და კომენტარები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ თბ. 1962
5. ნადარეიშვილი გ. ქართული სამართლის ისტორია თბ. 2003
6. ნადარეიშვილი გ. ძველი ქართული საოჯახო სამართალი თბ. 1974
7. ნადარეიშვილი გ. მისივე ქართული საოჯახო სამართლის ისტორიიდან თბ. 1965
8. ნადარეიშვილი გ. გირავნობა გვიან, შუა სს–ის ქართული სამართლის მიხედვით, აღმანახი „ქართული სამართლის ისტორიის საკითხები“, №14 2000
9. ნადარეიშვილი გ. განქორწინება ქართული სამართლის მიხედვით, კრებული ქართული სამართლის ისტორიის საკითხები ტ. I თბ. 1973
10. ნადარეიშვილი გ. მისივე ქართული სამართლის ისტორიის ნარკვევი თბ. 1971
11. ნადარეიშვილი გ. ლობჯანიძე გ. - ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია თბ. 2001.
- 12.Халфина Р. О. Договор в английском гражданском праве. М. 1959.
13. Прайс Кольер (США) . Англия и англичане с американской точки зрения, 1912
14. Суптаев М. А "Обычное право в странах Восточной Африки" - М. "Наука", 1984.
15. К. Кросс. Прецедент в английском праве. Москва. 1985г.
- 16.Боботов С.В., Жигачев И.Ю., Введение в правовую систему США., М., Норма.,1997г.
- 17.Гинзбург Дж. Американская юриспруденция о взаимодействии международного и внутреннего права // Государство и право. 1994. № 11.
- 18.Каменский В. Г. Билль о правах в конституционной истории о США (историко-критическое исследование).М.:Наука, 1983.
19. Мишин А. А. Государственное право США. М.: Наука, 1976.
- 20.Мишин А. А. Принцип разделения властей в конституционном механизме США. М.: Наука. 1984.
21. Мишин А.А., Власихин В. А. Конституция США. Политико-правовой комментарий. М.: Международные отношения, 1985.

22. Фридмэн Лоуренс. Введение в американское право. М.: Прогресс. 1993.
23. Боботов С.В., Жигачев И.Ю., Введение в правовую систему США., М.: Норма., 1997.
24. Богдановская И.Ю. Прецедентное право. М.: Наука, 1993.
25. Брэхмед П. Эволюция британской конституции. М.: ЮЛ, 1978.
26. Дайси А.В. Государственное право Англии. М.: Тип. Изд-ва И.Д. Сытина, 1907
27. Максимов А.А. Прецедент как один из источников английского права // Государство и право., 1995., №5.
28. Богдановская И.Ю. Закон в английском праве. М.: Наука, 1997.
29. Гармер Д. Великобритания: центральное и местное управление. М.: Прогресс, 1984.

თემა 3 რომანულ-გერმანული სამართლის სისტემა

1. Омельченко О. А. Основы римского права: учебное пособие и манускрипт., 1994 г.
2. Государственное право Германии. В 2-х т. Сокращенный перевод с немецкого семи томного издания. М., 1994. (Издатели И. Илгнзе, П. Кирххоф.)
3. Хессе К. Основы конституционного права ФРГ. М.: ЮЛ, 1981.
4. Ардан Ф. Франция: государственная система. М.: ЮЛ, 1994.
5. Боботов С.В., Васильев Д.И., Французская модель правового государства // Советское государство и право, 1990, №1
6. Керимов А.Д. Закон во Франции: от принятия до промульгации. // Государство и право №7., 1997.

თემა 4 რელიგიური სამართლის სისტემა

მუსულმანური სამართლის სისტემის შესახებ:

1. Изложение начал мусульманскаго законовѣденія / Николай Торнау. СПб., 1850.
2. Мусульманское уголовное право: возникновение и историческое развитие http://rli.consultant.ru/magazine/2005/04/for_law/art1/
3. Сукиянен А. Р. "Мусульманское право как объект общей теории права", М. 1989
4. Георгиев А., "Ислам и проблемы развития государственно-политических систем в мусульманском мире". М. 1997
5. Изложение начал мусульманскаго законовѣденія / Николай Торнау. СПб., 1850.
6. А.Р. Сукиянен. Мусульманское право. Москва 1986
7. Баишев Ж. Общие принципы исламского права, теория доказательств и система наказания. - Алматы, 1996.
8. Weiss B. Interpretation in Islamic Law: The Theory of Ijtihād // The American Journal of Comparative Law. 1978. Vol. 26, № 2. P. 200.
9. Mayer A.E. Law and Religion in the Muslim Middle East // The American Journal of Comparative Law. 1987. Vol. 35, № 1. P. 152.
10. Schacht J. Islamic Law in Contemporary States // The American Journal of Comparative Law. 1959. Vol. 8, № 2. P. 133.
11. Al-Muhhairi B.S.B.A. The Islamisation of Laws in the UAE: The Case of the Penal Code // Arab Law Quarterly. 1996. Vol. 11, № 4. P. 350–351, 361–362, 368–370;

12. Muhhairi B.S.B.A. Islamisation and Modernisation within the UAE Penal Law: Shari'a in the Pre-modern Period // Arab Law Quarterly. 1995. Vol. 10, № 4. P. 289–296, 300–301;
13. Coulson N.J. The State and the Individual in Islamic Law // The International and Comparative Law Quarterly. 1957. Vol. 6, № 1. P. 49–53.
14. El-Awa M. The Place of Custom ('urf) in Islamic Legal Theory // The Islamic Quarterly. A Review of Islamic Culture. 1973. Vol. XVII, № 3 & 4. P. 177–182.
15. Lippman M., McConville S., Yerushalmi M. Islamic Criminal Law and Procedure: An Introduction / Foreword by M. Cherif Bassiouni. N.Y.; Westport (Conn.); L., 1988. P. 31–32.

თემა 5 ინგლისური სამართლის სისტემა

1. Пройсс У. Модели конституционного развития и перемены в Восточной Европе // Полис, 1996, №4.
2. Рольф Книпер, Сотрудничество в области правовых реформ - <http://www.cis-legal-reform.org/publication/articles-reports/juristische-zusammenarbeit-universalitaet-und-kontext.ru.html>

თემა 7 ამერიკის შეერთებული შტატების სამართლის სისტემა

1. კონრად ცვაიგერტ, ჰაინ კოტცი შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში
Гражданское и торговое право зарубежных государств, 2004
Г. Ласк, Гражданское право США, 1961
The Legal environment of business, 1993
Federal rules of civil procedure, 2005

თემა 8 ავსტრალიის სამართლის სისტემა

2. კონრად ცვაიგერტ, ჰაინ კოტცი შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში
3. Д. Джифорд, К. Джифорд, Прфвовая система Австралии, 1988

თემა 9 ფრანგული სამართლის სისტემა

- Французский Гражданский кодекс. 2004
Л. Жюллио Де Ла Морандьер, гражданское право Франции, 1960

თემა 10 გერმანული სამართლის სისტემა

კონრად ცვაიგერტ, ჰაინ კოტცი შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში

Гражданское процессуальное уложение Германии, 2006

Гражданское уложение Германии, 2006

Гражданское и торговое право зарубежных государств, 2004

თემა 11

რუსეთის სამართლის სისტემა

სასწავლო კურსის მიზნები და ამოცანები. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, *კურსის მიზანია* დოქტორანტს:

- აუხსნას სამართლებრივი სისტემების სოციალური არსი, მათი არსის ცოდნის მნიშვნელობა და პრაქტიკაში წამოჭრილი ძირითადი პრობლემები, მათი გადაჭრის გზები;

- გააცნოს წამყვანი ქვეყნების გამოცდილება, მსოფლიოში არსებული კაზუსტური ხასიათის კონცეფციები, მიდგომები, დანაშაულის კვალიფიკაციის მოდელები და სტრატეგიები;

- შეასწავლოს სამართლის რეცეფციის მნიშვნელოვანი თეორიული დებულებები; მსოფლიოში არსებული რეცეფციის ძირითადი მეთოდები;

- შეუქმნას წარმოდგენა პრაქტიკული საკითხების სპეციფიკაზე;

- გამოუმუშავოს თეორიული დებულებების გამოყენების პრაქტიკული ჩვევები.

2.2. სამოსამართლო სამართლის როლი პირად და ქონებრივ ურთიერთობათა რეგულირებაში

სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები.

კურსის შესწავლამდე დოქტორანტს აუცილებლად უნდა ქონდეს გავლილი სამოქალაქო სამართლის ზოგადი და განსაკუთრებული ნაწილები. საკორპორაციო სამართალი და შრომის სამართალი. დოქტორანტი დაუფლებული უნდა იყოს სამოქალაქო პროცესის საფუძვლებს.

სასწავლო დისციპლინის აღწერა.

"სამოქალაქო სამართლის როლი პირად და ქონებრივ ურთიერთობათა რეგულირებაში" არის ახალი და სპეციალური დისციპლინა, რომლის მიზანია დოქტორანტს შეასწავლოს სასამართლო პრაქტიკის საფუძვლზე მოსამართლეთა მიერ შექმნილი ახალი ნორმების კანონზომიერებაში დამკვიდრების პროცესი და საერთოდ, სამოსამართლო სამართლის როლი კერძო სამართლის ცალკეული მიმართულებების განვითარებაში.

სასწავლო კურსის აქტუალობა: კურსის სწავლების აქტუალობა განპირობებულია კონტინენტური ევროპის ქვეყნების სამართლის სისტემაში სასამართლო პრაქტიკის (პრეცედენტის) მნიშვნელობის ზრდით სამართლის წყაროთა სხვა სახეებს შორის. გარდა ამისა, სამოსამართლო სამართლის განვითარება და დამკვიდრება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პოზიტიური კანონმდებლობის (კანონიერი სამართლის) სრულყოფას და სტაბილური ხასიათის უზრუნველყოფას.

სასწავლო კურსის სტრუქტურა: კურსი იყოფა 10 ლოგიკურად თანმიმდევრულ ნაწილად ანუ თემად. ამა თუ იმ ნაწილის განხილვა მოიცავს, როგორც საკონტაქტო ურთიერთობებისას გასაანალიზებელ ისე დამოუკიდებლად დასამუშავებელ საკითხებს. ყოველი თემის დასრულების შემდეგ მიღებული ცოდნის შემოწმებისა და განმტკიცების მიზნით გათვალისწინებულია ტესტების შედგენა და ამოხსნა, აგრეთვე შესაბამისი სასამართლო პრაქტიკის დეტალური ანალიზი. სავარჯიშოებისა და კაზუსების კითხვებზე პასუხის გაცემა შესაძლებელია საშინაო დავალებების შესრულების ფორმით.

სასწავლო კურსის შინაარსი:

თემა_1: სასწავლო კურსის "სამოსამართლო სამართლის როლი პირად და ქონებრივ ურთიერთობათა რეგულირებაში" საგანი და ამოცანები.

თემა_2: ანგლო-საქსური სამართლის წყაროები.

თემა_3: კერძო სამართლის წყაროები საქართველოში.

თემა_4: კანონშემოქმედების ძველი ქართული ტრადიციები.

თემა_5: სამართლებრივი კულტურა და სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაცია საქართველოში.

თემა_6: აბსტრაქტული ნორმები კერძო სამართალში.

თემა_7: ჩვეულება და ანალოგია, როგორც, პრეცედენტის გამოყენების საფუძველი.

თემა_8: ობიექტურობის პრობლემა და სამოსამართლო სამართლის მოქმედების ფარგლები.

თემა_9: სამოსამართლო სამართალი და საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

თემა_10: სამოსამართლო სამართლის როლი საკორპორაციო და შრომის კანონ-

მდებლობის განვითარება-სრულყოფაში.

სასწავლო კურსის მიზნები და ამოცანები:

კურსის შესწავლის მიზანია დაეხმაროს დოქტორანტს კერძო სამართლის სისტემაში შემავალი ცალკეული დარგების პრობლემების უკეთ გაგებაში, საკვანძო საკითხების შესაბამისი სასამართლო პრაქტიკის ფონზე განმეორებასა და განმტკიცებაში, სამოსამართლო სამართლის შინაარსის შემოქმედებითად გაგებაში და კერძო სამართლის წყაროების სისტემის ახლებურად გააზრებაში. დოქტრინა და პრაქტიკა ხელს უნდა უწყობდეს ცივილური კანონმდებლობის არსის გაგებას. სამართლის დოქტორებს უნდა ჰქონდეთ უნარი შექმნან ახალი ცოდნა, კრიტიკულად გაანალიზონ დაგროვილი იდეები და პასუხისმგებლობით მოეკიდონ ამ ინფორმაციის ტრანსფორმაციასა და გავრცელებას პუბლიკაციების, სწავლებისა და პრაქტიკაში დანერგვის გზით.

სასწავლო კურსის მოთხოვნები: დოქტორანტმა პროფესორის დახმარებით სიღრმისეულად უნდა გაიაზროს სასწავლო კურსის არსი, სწავლების ძირითადი მიზნები და ამოცანები. უნივერსიტეტში დადგენილი შეფასებიდან გამომდინარე, ზუსტად და დროულად შეასრულოს სასწავლო განრიგით დადგენილი ყველა სამუშაო, სათანადო ყურადღება უნდა დაუთმოს დამოუკიდებლად მუშაობას. ყოველი დავალების მომზადებისას დაწვრილებით გაეცნოს დასამუშავებელი საკითხის ირგვლივ მითითებულ ლიტერატურას და პრაქტიკის მასალებს.

სასწავლო კურსის სწავლების მეთოდი და ფორმატი: სასწავლო კურსის შესწავლა ხორციელდება როგორც საკონტაქტო სალექციო-სასემინარო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის ფორმებით. უპირატესობა ამ უკანასკნელს ენიჭება. დამოუკიდებელი მუშაობის ყოველი მონაკვეთი კონტროლდება პროფესორის მიერ. გარდა ამისა, დოქტორანტის სწავლების პროცესს პერიოდულად აანალიზებს მისი მეცნიერ-ხელმძღვანელი. ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის დამუშავებისა და ინტერნეტ-რესურსების გამოყენების საფუძველზე პროფესორისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის მიერ მითითებული წყაროების დამუშავებას ლოგიკურად უნდა მოყვეს კონკრეტული წინადადებებისა და დასკვნების შემუშავება, დისკუსია-სემინარებზე მოხსენებების მომზადება-პრეზენტაცია და პუბლიკაციისათვის სამეცნიერო სტატიების მომზადება.

შეფასების ფორმატი და სისტემა: კურსის დაუფლება სწავლების პროცესში დოქტორანტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შექმნილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეყრდნობა. სწავლების პროცესში დოქტორანტის მიერ გაწეული მუშაობისა და მიღებული ცოდნის შეფასება ხორციელდება როგორც ზეპირი ისე წერილობითი ფორმით. მიმდინარე შეფასებას ყოველი თვის მუშაობის შემდეგ, უზრუნველყოფს ზეპირი გამოკითხვისა და საშინაო წერითი დავალების შესრულების შემოწმების მეთოდი. ფინალური გამოცდა კი სემესტრის ბოლოს ტარდება წერილობით. საგამოცდო ტესტი მოიცავს მთელ განვილი მასალას და შედგენილია სილაბუსით გათვალისწინებული თემების საკვანძო საკითხების გათვალისწინებით. კურსის სწავლების პროცესში დოქტორანტის ცოდნის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით.

სასწავლო კურსის შესწავლის პოზიტიური შედეგით დასრულების, დადებითი საბოლოო შეფასების მიღებისა და კრედიტის მინიჭების წინაპირობაა დოქტორანტის მიერ 50-100 ქულის დაგროვება. ნაკლები ქულის დაგროვების შემთხვევაში დოქტორანტს ეძლევა გამოცდაზე განმეორებით გასვლის უფლება. განმეორებით ჩაჭრის შემთხვევაში მან თავიდან უნდა გაიაროს სასწავლო კურსი.

დოქტორანტი ვერ მიიღებს დადებით შეფასებას თუ იგი ვერ ფლობს საპროგრამო მასალას იმ მოცულობით, რაც აუცილებელია მისთვის სადოქტორო სასწავლო პროგრამით წაყენებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. დოქტორანტის სამუშაო ფასდება შემდეგი კომპონენტებით: 1) სააუდიტორიო აქტივობა - (20 ქულა), 2)წერიტი სამუშაო - (20 ქულა); 3)დამოუკიდებელი სამუშაო - (30 ქულა); 4)ფინალური გამოცდა - (30 ქულა).

სასწავლო პროცესის განრიგ: დოქტორანტურის მეორე სემესტრის ყოველი თვის დასაწყისში ტარდება 2 ლექცია სილაბუსით გათვალისწინებული თემების შესაბამისად. ერთი დღის საკონტაქტო სამ საათიანი ურთიერთობა მოიცავს ლექციას, რეპეტიტორიუმს და კაზუსის ამოხსნას. დოქტორანტს ეძლევა დავალება თემასთან დაკავშირებული საკითხების ერთთვიანი პროგრამის მოსამზადებლად.

სასწავლო-მეთოდური მასალა:

ძირითადი ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, თბ. 2005 წ.
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ. 2006 წ.
3. საქართველოს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ (1996 წ.)
4. საქართველოს კანონი "მეწარმეთა შესახებ" (2006 წ.)
5. ლადო ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ. 1997 წ.
6. ლადო ჭანტურია, თედო ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარები, თბ. 2002 წ.
7. ავთანდილ კობახიძე, სამოქალაქო სამართალი, თბ. 2001 წ.
8. რომან შენგელია, სამოქალაქო სამართალი, კრებ. ქართული სამართლის საფუძვლები, თბ. 2000 წ.
9. ჯონი ხეცურიანი, სამოქალაქო სამართლის ფუნქციები, თბ. 2995 წ.
10. რენე დავიდი, თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, თბ. 2000 წ.
11. ქეთი ქოქრაშვილი, სამეწარმეო სამართალი, თბ. 2005 წ.
12. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბ. 1999 წ.
13. თ. ლილუაშვილი, ვ.ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, თბ. 2004 წ.

დამხმარე ლიტერატურა:

1. ბესარიონ ზოიძე, სანივთო სამართალი, თბ. 2005 წ.
2. ზურაბ ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, თბ.. 2000 წ.
3. შალვა ჩიკვაშვილი, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, თბ. 2005 წ.
4. რომან შენგელია, საოჯახო სამართალი, თბ. 1999 წ.
5. რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია, მემკვიდრეობის სამართალი, თბ. 200 წ.

6. თენგიზ ლილუაშვილი, საერთაშორისო კერძო სამართალი, თბ. 2000 წ.
7. ლადო ჭანტურია, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბ. 2006 წ.
8. გიორგი ხუბუა, სამართლის თეორია, თბ. 2004 წ.
9. ქართული და უცხოური სპეციალური ლიტერატურა ცალკეულ თემებთან დაკავშირებით დოქტორანტებს მიეთითებათ პროფესორის მიერ.

3. სპეციალიზაციის მოდული

3.1 სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია

სასწავლო კურსის მიზანი

საგნის სწავლების ძირითადი მიზანია კერძო სამართლის სფეროში მომუშავე მომავალ მეცნიერ თანამშრომლებსა და უმაღლესი სკოლის პედაგოგებს მივაწოდოთ სასამართლოს მიერ სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია; დაანახოს საქმის ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში; იურიდიული ტერმინოლოგიის, პრინციპებისა და ინსტიტუტების სწორად გაგებისა და გამოყენების მნიშვნელობა; გააცნოს შედარებით სამართლებრივი ანალიზის გამოყენების ტექნიკა სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების დროს.

დისციპლინის შესწავლის ამოცანები:

- გამოუმუშავოს დოქტორანტს საქმის განხილვის უნარ-ჩვევები;
- ხელი შეუწყოს უმაღლესი სკოლის მომავალი პედაგოგის პროფესიულ-პედაგოგიური აზროვნების ჩამოყალიბებას.
- ხელი შეუწყოს მაღალკვალიფიციური იურისტი-მკვლევარის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებასა და განვითარებას.
- გააცნოს დოქტორანტს სასამართლო გადაწყვეტილებების მიღების თანამედროვე მეთოდები..

სასამართლო გადაწყვეტილებების მიღების მეთოდების კურსის გავლის შემდეგ დოქტორანტმა უნდა იცოდეს:

- საგნის არსი; საქმის ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა;
- აღწერილობითი ნაწილის მომზადება: მასალების შეგროვება;
- უდავო და სადავო ფაქტების დამუშავების მეთოდოლოგია;
- ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე სამართლებრივი დასკვნების გაკეთება;
- სამართლებრივი დასკვნა და გადაწყვეტილების პროექტის შედგენა;
- სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები და მეთოდები;
- მსმენელთა მცირე ჯგუფთან ურთიერთობა;

დოქტორანტს ასევე უნდა შეეძლოს:

- გამოიყენოს შექმნილი ცოდნა და უნარ-ჩვევები ცხოვრებისა და საქმიანობის სხვადასხვა სფეროში;
- გაანალიზოს ცხოვრებისეული სიტუაციები;
- გაანალიზოს სასამართლო გადაწყვეტილებები;
- იმუშაოს სამეცნიერო ლიტერატურაზე.

ძირითადი ლიტერატურა:

1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, (2007 წლის იანვრის მდგომარეობით)
2. ჰაინ ბოელინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია. 2003 წ.
3. თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2007 წ.
4. თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, 2005 წ.
5. თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო პროცესის საკითხები საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში. 2004 წ.
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა უდავო წარმოების წესით იურიდიული ფაქტების დადგენის შესახებ. 2003 წ.
7. შ. ქურდაძე,

დამხმარე ლიტერატურა:

1. ა. კობახიძე, სამოქალაქო საპროცესო სამართალი.
2. გ. ლილუაშვილი, შეჯიბრობითობის პრინციპი ქართულ-ამერიკულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში, ჟურ. "კომერსანტი" 2006 №1.
3. გ. ლილუაშვილი, შეჯიბრობითობის პრინციპი, ჟურ. "მაცნე" 2006, №2
4. Zivil protsesrecht, 2004.

3.2 საფინანსო ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების სრულყოფის პრობლემები

სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები კურსის შესწავლამდე დოქტორანტს გაეკლილი უნდა ჰქონდეს საფინანსო სამართალი, საკორპორაციო სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი და სამოქალაქო სამართალი.

სასწავლო კურსის აღწერა: საბაზრო მეურნეობის პირობებში ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია ფინანსების მექანიზმის ეფექტური გამოყენება საზოგადოებისა და სახელმწიფო ამოცანების შესაბამისად. ეს კი შესაძლებელია საფინანსო სამართლებრივი ნორმების მოთხოვნათა განუხრელი დაცვით. მათი საშუალებებით ხდება ეკონომიკის ცალკეული დარგებისა, სოციალური სფეროს, ქვეყნის თვითდაცვისუნარიანობის ფინანსური უზრუნველყოფა.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საბიუჯეტო, საგადასახადო, სავალუტო და სხვა სახის საფინანსო ურთიერთობათა სამართლებრივ რეგულირებას. დოქტორანტმა კურსის შესწავლისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომ სახელმწიფო წყობილებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში გატარებული ნოვაციები საფუძვლად დაედო საფინანსო ურთიერთობათა მარეგულირებელი ნორმების სტრუქტურულ ცვლილებებს, რომ იქმნება ფართო შესაძლებლობები საკოდიფიკაციო საქმიანობისათვის. კურსის შესწავლა მნიშვნელოვნად აფართოებს სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვის შესაძლებლობების შესახებ ცოდნას, მისი მეშვეობით შესაძლებელია არა მარტო ქვეყნის შიგნით წარმოშობილ საფინანსო-სამართლებრივ ურთიერთობათა არსში გრკვევა, არამედ საზღვარგარეთის მოწინავე ქვეყნების საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობაში არსებული გამოცდილების გაზიარება.

სასწავლო კურსის აქტუალობა კურსის სწავლების აქტუალობა განპირობებულია საბაზრო მეურნეობის პირობებში საფინანსო ურთიერთობათა დეტალური სამართლებრივი რეგულირების აუცილებლობის ამოცანებით. სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესი წარმოუდგენელია სრულყოფილი საფინანსო სამართლებრივი ურთიერთობების გარეშე. მათი გონივრული გამოყენება სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ინტერესების სფეროს განეკუთვნებოდა.

სასწავლო კურსის სტრუქტურა: კურსი იყოფა 10 ლოგიკურად თანმიმდევრულ ნაწილად ანუ თემად. თითოეული მათგანი მოიცავს როგორც საკონტაქტო ურთიერთობის ისე დამოუკიდებლად შესასრულებელი სამუშაოების კომპლექსს. მეტი ყურადღება ეთმობა პროფესორის მიერ განსაზღვრულ დავალებათა შესრულებას, რომლის პროცესში დოქტორანტი, როგორც მომავალი ლიდერი, ეჩვევა კვლევის დამოუკიდებელი მეთოდების გამოყენებას, მეცნიერულად დასაბუთებული წინადადებებისა და დასკვნების შემუშავებას. პროფესორთან საკონტაქტო ურთიერთობის დროს მას დისკუსიებში მონაწილეობისა და კვლევათა ცალკეული ელემენტების პრეზენტაციების უნარ-ჩვევებს გამოიმუშავებს. სილაბუსით გათვალისწინებული თემებიდან პირველი ხუთი თემის შესწავლა ხდება მეორე სემესტრში, ხოლო მეორე ხუთი თემისა - მესამე სემესტრში. ამავე სემესტრში დოქტორანტი გადის პროფესიონალურ პრაქტიკას და კომისიური წესით აბარებს საკვალიფიკაციო გამოცდას. გამოცდა ბარდება სპეციალიზაციის საგნებში. რეპეტიტორიუმითა და გამოცდისათვის მზადებით მთავრდება დოქტორანტის სასწავლო კომპონენტი, რასაც შედეგად მოყვება დოქტორანტისათვის კვალიფიკაციის მინიჭება.

სასწავლო კურსის შინაარსი:

- თემა_1. საქართველოს საფინანსო სისტემა და საფინანსო საქმიანობის არსი.
- თემა_2. საფინანსო-სამართლებრივ ურთიერთობათა წარმოშობის, შეცვლისა და შეწყვეტის ზოგადი საფუძვლები.
- თემა_3. საფინანსო-საკონტროლო სამართლებრივი ურთიერთობანი.

- დედა_4. საბიუჯეტო სამართლებრივი ურთიერთობანი.
 დედა_5. საგადასახადო და საბაჟო სამართლებრივი ურთიერთობანი.
 დედა_6. საკრედიტო და საანგარიშსწორებო სამართლებრივი ურთიერთობანი.
 დედა_7. სადაზღვევო და სამართლებრივი ურთიერთობანი.
 დედა_8. სავალუტო სამართლებრივი ურთიერთობანი.
 დედა_9. საქართველოს მონაწილეობა საერთაშორისო საფინანსო-სამართლებრივ ურთიერთობებში.
 დედა_10. საზღვარგარეთის ქვეყნების ძირითადი საფინანსო-სამართლებრივი ინსტიტუტები.

სასწავლო კურსის მიზნები და ამოცანები: კურსის შესწავლის მიზანია დაეხმაროს დოქტორანტს საბაზრო მეურნეობის პრინციპების დანერგვისას სამართლებრივი მექანიზმის ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობათა გარკვევაში. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების წინააღმდეგობრივი ხასიათი დღის წესრიგში აყენებს საფინანსო სფეროში ნორმაშემოქმედებითი საქმიანობის გაუმჯობესებისა და შესაბამისი დოქტრინის სრულყოფის საკითხს. სამართლის მომავალი დოქტორის უმნიშვნელოვანეს ამოცანას აღნიშნულ პრობლემათა გადაწყვეტაში აქტიური მონაწილეობის მიღება წარმოადგენს.

სასწავლო კურსის მოთხოვნები: დოქტორანტმა სიღრმისეულად უნდა გაიაზროს სასწავლო კურსის არსი, სწავლების ძირითადი მიზნები და ამოცანები. უნივერსიტეტში დადგენილი შეფასებიდან გამომდინარე, ზუსტად და დროულად შეასრულოს სასწავლო განრიგით დადგენილი ყველა სამუშაო, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს დამოუკიდებლად მუშაობის ფორმებს. პროფესორის მიერ მიცემული ყოველი დავალების მომზადებისას დაწვრილებით უნდა გაეცნოს დასამუშავებელი საკითხის ირგვლივ მითითებულ ლიტერატურას და პრაქტიკის მასალებს. პროფესორთან საკონტაქტო ურთიერთობის დროს აქტიურობა და ინიციატივიანობა მისთვის დამახასიათებელი უნდა იყოს.

სასწავლო კურსის სწავლების მეთოდი და ფორმატი: კურსის შესწავლა ხორციელდება როგორც თეორიულ ისე პრაქტიკულ მეცადინეობებზე. ყოველი თვის დასაწყისში პირველი სამუშაო დღე ეთმობა დოქტორანტსა და პროფესორს შორის საკონტაქტო ურთიერთობას. გამოიყენება სალექციო და სასემინარო ფორმები სილაბუსით გათვალისწინებული თემების შესაბამისად. ასეთი ურთიერთობის დროს ხდება დოქტორანტისათვის დავალების მიცემა ინდივიდუალური სამუშაოს შესასრულებლად და ადრე მიცემული დავალების შემოწმება. ინდივიდუალური წესით შესრულებული დავალება უმეტესად წერილობით უნდა იქნეს წარდგენილი. დავალებების შესრულების პროცესში უნდა გამოიკვეთოს დოქტორანტის მიერ კვლევის ახალი მეთოდების გამოყენების შესაძლებლობა და ხარისხი. საკონტაქტო ურთიერთობა მოიცავს ადგილზე კაზუსებისა და ტესტების ამოხსნასაც. სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ყველა პრობლემა დოქტორანტმა უნდა გადაწყვიტოს პროფესორის დახმარებით.

სასწავლო-მეთოდური მასალა:

ძირითადი ლიტერატურა:

14. რომან შენგელია, საფინანსო სამართალი, თბ. 2004 წ.
15. რომან შენგელია, საკრედიტო და საანგარიშსწორებო სამართლებრივი ურთიერთობანი, თბ. 2000 წ.
16. რომან შენგელია, საზღვარგარეთის ქვეყნების საფინანსო სამართალი, თბ. 2004 წ.
17. შოთა ქისტაური, ლევან ქისტაური, საქართველოს საფინანსო და საბანკო სამართლის პრობლემები, თბ. 1997 წ.
18. რევაზ კაკულია, ფინანსების ზოგადი თეორია, თბ. 1998 წ.
19. გრეგორი მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ. 2000 წ.
20. ზვიად როგავა, გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი, თბ. 2002 წ.
21. Пол Мари Годме, Финансовое право, М. 1978 г.
22. Финансовое право, Под.редакцией Е.Ю.Грачевой и Толстопятенко, М. 2003 г.
23. Финансовое право, Под.редакцией Н.И.Химичевой, М. 1999 г.

დამხმარე ლიტერატურა:

10. ჯემალ კახნიაშვილი, მიკროეკონომიკა, თეორია და პოლიტიკა, I და II ნაწ., თბ. 1997 წ.
11. ა.ჯიბუტი, ი. ღლონტი, საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი, თბ. 2003 წ.
12. ირ. ქვაჩახია, რ.ქუტიძე, ეკონომიკური თეორია, თბ. 2000 წ.
13. რ. ასათიანი, ფული და ფულადი სისტემები, თბ. 1996 წ.
14. თ. მელქაძე, საფინანსო კონტროლი ევროპულ ქვეყნებში. თბ. 1999 წ.
15. ქართული და უცხოური სპეციალური ლიტერატურა, აგრეთვე შესაბამისი ნორმატიული აქტები ცალკეულ თემებთან დაკავშირებით დოქტორანტებს მიეთითებათ პროფესორის მიერ.

კურსის სწავლების გრაფიკი

I შეხვედრა

თემა 1. საქართველოს საფინანსო სისტემა და საფინანსო საქმიანობის არსი

I საათი – ლექცია

საქართველოს ეკონომიკის განვითარების ძირითადი ეტაპები. ფინანსების ცნება და საქართველოს საფინანსო სისტემა. საფინანსო საქმიანობის არსი. საფინანსო საქმიანობის განხორციელების მეთოდები. საფინანსო საქმიანობის განმხორციელებელი ორგანოები და მათი სამართლებრივი მდგომარეობა.

II საათი. – დისკუსია

ლექციაზე განხილული საათების დაზუსტება. დამატებითი განმარტებები არასაკმარისად განხილულ საკითხებზე. კითხვა-პასუხი თემის საკითხის ირგვლივ.

III საათი – მასალის გამოკითხვა

სალექციო მასალის ათვისების მონიტორინგი. დოქტორანტებისთვის დავალების მიცემა სარეფერატო თემის შესარჩევად წინადადებების წარმოდგენის მიზნით.

ლიტერატურა:

1. რომან შენგელია, საფინანსო სამართალი, თბ. 2004
2. შ. ქისტაური, ლ. ქისტაური, საქართველოს საფინანსო და საბანკო სამართლის პრობლემები თბ. 1997
3. Финансовое право, под редакцией З. Ю. Грачевой и А. И. Тостопятенко М. 2003
4. З. Ю. Грачева, Э. Д. Соколова, Финансовое право, М, 2000
5. Финансовое право отв. редактор Н, И, Химичева М, 1999

II შეხვედრა

თემა 2. საფინანსო-სამართლებრივ ურთიერთობათა წარმოშობის, შეცვლისა და შეწყვეტის ზოგადი საფუძვლები

I საათი – ლექცია

საფინანსო-სამართლებრივ ურთიერთობათა ცნება. საფინანსო-სამართლებრივ ურთიერთობათა წარმოშობა, შეცვლა და შეწყვეტა. საფინანსო-სამართლებრივ ურთიერთობათა სახეები. საფინანსო-სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტები, ობიექტი და შინაარსი.

II საათი. – დისკუსია

ლექციაზე განხილული საათების დაზუსტება. კითხვა-პასუხი. დამატებითი განმარტებები შედარებით ბუნდოვან საკითხებზე.

III საათი – მასალის გამოკითხვა, სარეფერატო თემების შერჩევა

ლექციაზე გაანალიზებული საკითხების ათვისების ხარისხის მონიტორინგი. დოქტორანტების სამეცნიერო ინტერესების გათვალისწინებით სარეფერატო თემების შერჩევა. რეკომენდაციების მიცემა ლიტერატურის გამოყენებასთან დაკავშირებით.

ლიტერატურა:

1. რომან შენგელია, საფინანსო სამართალი, თბ. 2004
2. რევაზ კაკუღია, ფინანსების ზოგადი თეორია, თბ. 1998
3. გრეგორ მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ. 2000
4. П. М. Годме, Финансовое право, М. 1978

III შეხვედრა

თემა 3. საფინანსო-საკონტროლო სამართლებრივი ურთიერთობანი

I საათი – ლექცია

საფინანსო კონტროლის ცნება და სახეები. საფინანსო კონტროლის ფორმები და მეთოდები. სახელმწიფო საფინანსო კონტროლი. აუდიტორული საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები. საფინანსო მონიტორინგის სამართლებრივი მდგომარეობა.

II საათი. – დისკუსია

ლექციაზე განხილული საათების დაზუსტება. კითხვა-პასუხი. დამატებითი განმარტებები შედარებით ბუნდოვან საკითხებზე.

III საათი

პირველი თემის საკითხების შემოწმება ზეპირი გამოკითხვით. მეორე თემის საკითხებზე ტესტირების ჩატარება. სარეფერატო თემის დამუშავებისას პრაქტიკის მასალების გამოყენებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების მიცემა დოქტორებისთვის.

ლიტერატურა:

1. ო. მელქაძე, საფინანსო კონტროლი ევროპულ ქვეყნებში, თბ. 1999
2. რომან შენგელია, საფინანსო სამართალი, თბ. 2004
3. რომან შენგელია, საკრედიტო და საანგარიშსწორებო სამართლებრივი ურთიერთობანი, თბ. 2002
4. ირ. ქვაცახია, რ. ქუტიძე, ეკონომიკური თეორია. თბ. 2000

IV შეხვედრა

თემა 4. საბიუჯეტო სამართლებრივი ურთიერთობანი

I საათი – ლექცია

საქართველოს ბიუჯეტი და საბიუჯეტო სამართალი. საბიუჯეტო სამართლის წყაროები. საბიუჯეტო-სამართლებრივ ურთიერთობათა თავისებურებანი. საბიუჯეტო პროცესის სტადიები.

II საათი – დისკუსია

ლექციაზე განხილული საათების დაზუსტება. მიმდინარე წლის საქართველოს საბიუჯეტო ძირითადი პარამეტრების ანალიზი. კითხვა-პასუხი. დამატებითი განმარტებები შედარებით ბუნდოვან საკითხებზე.

III საათი – ცოდნის შემოწმება

მესამე თემის საკითხების ზეპირი გამოკითხვა, შემდეგ კი – ტესტური შემოწმება. შედეგების ანალიზი და დოქტორანტებისათვის გაცნობა. მომავალ შეხვედრაზე შუალედური გამოცდის ჩატარების შესახებ ინფორმაციისა და დავალებების მიცემა.

ლიტერატურა:

1. რომან შენგელია, საფინანსო სამართალი, თბ. 2004
2. 2003 წლის საქართველოს კანონი “საბიუჯეტო სისტემის შესახებ”
3. რომან შენგელია, საქართველოს საფინანსო სამართლის საკითხები, თბ. 1993
4. შ. ქისტაური, ლ. ქისტაური, საქართველოს საფინანსო და საბანკო სამართლის პრობლემები თბ. 1997

V შეხვედრა

თემა 5. საგადასახადო და საბაჟო სამართლებრივი ურთიერთობანი

I საათი – ლექცია

საგადასახადო სამართლებრივი ურთიერთობის ცნება. სახემწიფო და ადგილობრივი გადასახადების სამართლებრივი საფუძვლები. საგადასახადო სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტები და მათი პასუხისმგებლობა. საბაჟო სამართლის საფუძვლები.

II საათი – დისკუსია

ლექციაზე განხილულ საკითხთა დაზუსტება. დამატებითი განმარტებები შედარებით ბუნდოვან საკითხებზე. კითხვა-პასუხი. სალექციო მასალის ათვისების ხარისხის მონიტორინგი.

III საათი – შუალედური გამოცდის ჩატარება

მიცემული დავალების შესაბამისად წერითი გამოცდის ჩატარება განვლილი 5 თემის საკითხებზე. წერითი გამოცდა გულისხმობს თეორიული საკითხის გადმოცემას და ტესტის ამოხსნას. გამოცდის შედეგების ანალიზი და დოქტორანტებისთვის გცნობა.

ლიტერატურა:

1. ზ. როგავა, გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი, თბ. 2002
2. რომან შენგელია, საზღვარგარეთის ქვეყნების საფინანსო სამართალი, თბ. 2004
3. საქართველოს საბაჟო და საგადასახადო კოდექსები

VI შეხვედრა

თემა 6. საკრედიტო და საანგარიშსწორებო სამართლებრივი ურთიერთობანი

I საათი – ლექცია

საკრედიტო და სამართლებრივ ურთიერთობათა ცნება და სახეები. დაკრედიტების პრინციპები. კერძო პირთა დაკრედიტების თავისებურებანი. საანგარიშსწორებო სამართლებრივი ურთიერთობანი. ანგარიშსწორების პრინციპები და ფორმები. ჩეკი და თამასუქი.

II საათი – დისკუსია

ლექციაზე განხილული საათების დაზუსტება. კითხვა-პასუხი. დამატებითი განმარტებები საჭიროების შემთხვევაში.

III საათი

ლექციაზე განხილული საკითხების ათვისების ხარისხის შემოწმება. სარეფერატო თემაზე მუშაობის მიმდინარეობის მონიტორინგი.

ლიტერატურა

1. რომან შენგელია, საფინანსო სამართალი, თბ. 2004
2. რომან შენგელია, საკრედიტო და საანგარიშსწორებო სამართლებრივი ურთიერთობანი, თბ. 2002
3. რომან შენგელია, საზღვარგარეთის ქვეყნების საფინანსო სამართალი, თბ. 2004
4. Финансовое право, М. 2003

VII შეხვედრა

თემა 7. სადაზღვევო სამართლებრივი ურთიერთობანი

I საათი – ლექცია

დაზღვევის ცნება და მნიშვნელობა. დაზღვევის სახეთა კლასიფიკაცია. სავალდებულო და ნებაყოფლობითი დაზღვევა. ქონებრივი და პირადი დაზღვევა. სადაზღვევო კომპანიების საქმიანობის სახელმწიფო მონიტორინგი.

II საათი – დისკუსია

ლექციაზე განხილული საათების დაზუსტება. დამატებითი განმარტებები. კითხვა-პასუხი თემასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

III საათი – ტესტირება

ლექციაზე განხილული საკითხების ათვისების ხარისხის შემოწმება ზეპირი ფორმით. მეექვსე თემის საკითხების ცოდნის გამოსავლენად ტესტირების ჩატარება.

ლიტერატურა:

1. რომან შენგელია, საქართველოს საფინანსო სამართლის საკითხები, თბ. 1993
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები. წიგნი IV, თბ. 1999
3. მარიკა ცისკაძე, სადაზღვევო სამართლებრივი ურთიერთობანი, თბ. 2001

VIII შეხვედრა

თემა 8. სავალუტო სამართლებრივი ურთიერთობანი

I საათი

ფულის წარმოშობა და მისი განვითარების ძირითადი ეტაპები. ვალუტის ცნება და შინაარსი. ეროვნული და უცხოური ვალუტა. კონვერტირებადი და არაკონვერტირებადი ვალუტა. ვალუტის კურსი. სავალუტო ბაზარი.

II საათი – დისკუსია

ლექციაზე განხილული საათების დაზუსტება. კითხვა-პასუხი. დამატებითი განმარტებები შედარებით ბუნდოვან საკითხებზე.

III საათი – შემოწმება, ტესტირება, პრეზენტაცია

ლექციაზე განხილული საკითხების ძირითადი შინაარსის ზეპირი გამოკითხვა. ტესტირება მეშვიდე თემის საკითხებთან დაკავშირებით. ერთი ან ორი სარეფერატო თემის პრეზენტაცია.

ლიტერატურა:

1. რომან შენგელია, საფინანსო სამართალი, თბ. 2004
2. როზეტა ასათიანი, ფული და ფულადი სისტემები, თბ. 1996
3. რევაზ კაკულია, ფინანსების ზოგადი თეორია, თბ. 1998

IX შეხვედრა

თემა 9. საქართველოს მონაწილეობა საერთაშორისო სამართლებრივ ურთიერთობებში

I საათი – ლექცია

საქართველოს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობანი და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები. საერთაშორისო საკრედიტო ურთიერთობები. საერთაშორისო საფინანსო-სამართლებრივი ნორმები და ურთიერთობანი. საერთაშორისო საფინანსო-სამართლებრივი ნორმების საქართველოში მოქმედების მექანიზმი.

II საათი – დისკუსია

ლექციაზე განხილული საათების დაზუსტება. კითხვა-პასუხი. დამატებითი განმარტებები გამოვლენილ უზუსტობებზე.

III საათი – ზეპირი გამოკითხვა, ტესტირება

ლექციაზე განხილული საკითხების გამოკითხვა-შემოწმება. მერვე ლექციის (თემის) საკითხებზე ტესტირების ჩატარება. სარეფერატო თემის პრეზენტაცია. შედეგების გაცნობა ავტორებისთვის.

ლიტერატურა:

1. რომან შენგელია, საფინანსო სამართალი, თბ. 2004
2. ვახტანგ ქარუმიძე, საერთაშორისო ორგანიზაციები თბ. 2002
3. ჯემალ კახნიაშვილი, მიკროეკონომიკა, თბ. 1997

X შეხვედრა

თემა 10. საზღვარგარეთის ქვეყნების ძირითადი საფინანსო-სამართლებრივი ინსტიტუტები

I საათი – ლექცია

საზღვარგარეთის საფინანსო-სამართლებრივ ურთიერთობათა ცნება და დამახასიათებელი თავისებურებანი. საზღვარგარეთის ქვეყნების საბიუჯეტო სამართლებრივი ურთიერთობანი. საგადასახადო სამართალი. საბანკო საქმიანობა საზღვარგარეთის ქვეყნებში. საფინანსო კონტროლი საზღვარგარეთის ქვეყნებში.

II საათი– დისკუსია

ლექციაზე განხილულ სკითხთა დაზუსტება. დამატებითი განმარტებები იმ საკითხებზე, რომელთა განხილვა სრულად ვერ მოესწრო. კითხვა-პასუხი. მკათე თემის ათვისების ხარისხის შემოწმების მიზნით გამოკითხვა. ტესტირება მეცხრე თემის საკითხებზე.

III საათი – პრეზენტაცია

დარჩენილი სარეფერატო თემების პრეზენტაცია. შედეგების გაცნობა ავტორებისთვის. ფინალური გამოცდისთვის მოსამზადებლად დავალებების მიცემა დოქტორანტებისათვის.

ლიტერატურა:

1. რომან შენგელია, საზღვარგარეთის ქვეყნების საფინანსო სამართალი, თბ. 2004
2. თ. მელქაძე, საფინანსო კონტროლი ევროპულ ქვეყნებში, თბ. 1999
3. Финансовое право, Учебник, М. 2003
4. П. М. Годме, Финансовое право, М. 1978

XI შეხვედრა

შეხვედრის სამივე საათი დაეთმობა ფინალურ წერით გამოცდას. დოქტორანტი უნდა შეასრულოს წერითი შრომა თეორიულ საკითხზე. ასევე, წერილობით უნდა გასცეს პასუხი დასმულ შეკითხვას.

3. 3. კოლიზიური ნორმები სართაშორისო სამართალში

სასწავლო კურსის მიზანი

საგნის სწავლების ძირითადი მიზანია იურისტ დოქტორანტებს გავაცნოთ კანონთა კოლიზიის არსი, მხარეებს შორის კანონის არჩევის პრობლემა და მისი გადაწყვეტის გზები; განვუმარტოთ დოქტორანტს საკოლიზიო ნორმის სტრუქტურა და ელემენტები, საკოლიზიო ნორმათა სახეები; დავანახოთ საკოლიზიო ნორმის მოქმედების შეზღუდვის ფარგლები, როგორც არის მაგალითად, დათქმა საჯარო წესრიგის შესახებ, დათქმა იმპერატიული ნორმების შესახებ და ა.შ.

შეასწავლოს დოქტორანტებს კოლიზიური ნორმების გამოყენების ფორმა და წესი სასამართლოებში.

დოქტორანტი ასევე გაეცნობა საერთო სამართლის ქვეყნებში საკოლიზიო ნორმათა შესახებ გაბატონებულ შეხედულებებსაც.

დისციპლინის შესწავლის ამოცანები:

- **გამოუმუშავოს** აღნიშნული სასწავლო კურსის სწორად გაგების **უნარ-ჩვევები**;
- **განუმტკიცოს** კოლიზიური ნორმების გამოყენების სფეროში სამართლებრივი დავების **ანალიტიკური შეფასების უნარ-ჩვევები**;
- **გამოუმუშავოს** გადაწყვეტილებათა მიღებისათვის აუცილებელი **პრაქტიკული უნარ-ჩვევები**.

კოლიზიური ნორმები საერთაშორისო კერძო სამართალში კურსის გაგლის შემდეგ დოქტორანტმა უნდა იცოდეს:

- საგნის არსი; კოლიზიური ნორმების საფუძვლები;
- კოლიზიური ნორმების კვლევების მიზნები და მეთოდები;
- კოლიზიური ნორმების სტრუქტურა;
- საკოლიზიური ნორმის მოქმედების შეზღუდვა;
- საკოლიზიო პრინციპები.

3.4 მორალური ზიანის ანაზღაურების პრობლემა სამოქალაქო სამართალში

- **სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები**

აღნიშნული კურსი წარმოადგენს არჩევით დისციპლინას დოქტორანტებისათვის, რომლებსაც სურთ უკეთ გაეცნონ სამოქალაქო სამართალში არამატერიალური ინტერესებისა და მორალური ზიანის პრობლემატიკას.

- **სასწავლო კურსის აღწერა.**

ამ სასწავლო კურსის მიზანია დოქტორანტს გააცნოს არამატერიალურ სიკეთეთა ადგილი თანამედროვე სამოქალაქო კანონმდებლობაში. ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში ცნობილი ჰოლანდიელი იურისტი ჰუგო გროციი წერდა, რომ : „ზიანის მიყენება შეიძლება ასევე პატივისა და კეთილი სახელისათვის, მაგალითად შეურაცხყოფით, ცილისწამებით, დაცინვითა და სხვა მსგავსი საშუალებებით და ამ დროს, არა იმაზე ნაკლებად, ვიდრე ქურდობისას ან ყაჩაღობისას აუცილებელია განვასხვავოთ ქმედების არამართლზომიერება შედეგისაგან... რადგან პირველის შესაბამისია სასჯელი, ხოლო მეორის - **ზიანის ანაზღაურება საკუთარი ბრალეულობის აღიარების გზით, პატივისცემის გამოსატყა, უდანაშაულობის დადასტურება და სხვა მსგავსი**. თუმცა ფულსაც შეუძლია აანაზღაუროს პირის ღირსებისათვის მიყენებული ამ ტიპის ზიანი, რადგანაც ფული არის საერთო საზომი ნივთების სარგებლიანობისა ». ამდენად მორალური ზიანისა და მისი ანაზღაურების პრობლემა არ არის ახალი, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ თუ მატერიალური ზიანის ანაზღაურების საკითხი თითქმის არასოდეს არ იწვევდა ეჭვს, არამატერიალურ ინტერესთა დაცვა უფრო გვიანდელი მონაპოვარია.

- **კურსის მიზნები**

სასწავლო კურსის მიზანია არამატერიალურ ინტერესთა ბუნების წარმოჩენა, მორალური ზიანისათვის პასუხისმგებლობის საკითხების ანალიზი

კანონმდებლობის შესაბამისად და აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით არსებული სასამართლო პრაქტიკის გაცნობა. საამისოდ სტუდენტებს საშუალება ექნებათ შეისწავლონ: (1) ნორმატიული მასალა, უპირატესად - სამოქალაქო კოდექსის დებულებანი, არსებული კანონმდებლობა (2) თანამედროვე დოქტრინის მიღწევები, (3) სამოსამართლო სამართალი.

• კურსის ფორმატი

ლექცია სასწავლო კურსის ძირითად ფორმას წარმოადგენს. ლექციის დროს ყურადღება გამახვილდება მთავარ (პრინციპულ) საკითხებზე. ლექციის მიმდინარეობისას დოქტორანტს შეეძლება კითხვების დასმა.

პრაქტიკული სამუშაო და სემინარები. კაზუსებისა და ტესტების ამოხსნა, ასევე კითხვარების (ტესტების) შევსება და დისკუსია წინასწარ შეთანხმებული თემის ირგვლივ. პრაქტიკული სამუშაოების ფარგლებში იგეგმება სასამართლო პრაქტიკის გაცნობაც.

• სასწავლო კურსის დაუფლებისას გასათვალისწინებელი მოთხოვნები

შემოთავაზებული სასწავლო კურსის ფარგლებში დასახული მიზნების განხორციელებისა და კურსის დაუფლებისათვის სავალდებულოა:

- წინამდებარე სილაბუსის გაცნობის შემდგომ დოქტორანტმა სათანადოდ გაიაზროს სასწავლო კურსის არსი, სწავლების ძირითადი მიზნები და შედეგები. თითოეულ მეცადინეობაზე მის მიერ შესასრულებელ სამუშაოთა მნიშვნელობა თეორიული ცოდნის შექმნისა და პრაქტიკულ უნარ-ჩვევათა განვითარებისათვის;
- იგი ყურადღებით უნდა გაეცნოს სწავლების ფორმატსა და მეთოდებს;
- მან სათანადო ყურადღება უნდა დაუთმოს დამოუკიდებელ (არასაკონტაქტო საათების დროს) მუშაობას, და ყოველი დავალების მომზადებისას გულდასმით გაეცნოს დასამუშავებელი საკითხის გარშემო მითითებულ ლიტერატურას;
- სასწავლო კურსთან დაკავშირებით ნებისმიერი გაურკვევლი საკითხი დოქტორანტმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ლექტორს (ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებით ნებისმიერი პრობლემის შემთხვევაში სტუდენტი მიმართავს დეკანატს);
- დოქტორანტი ვალდებულია გაეცნოს წინამდებარე სილაბუსში მოცემულ „აკადემიური ეთიკის მოთხოვნებს“, სათანადოდ გაიაზროს საკუთარი უფლებები, ვალდებულებანი და პასუხისმგებლობანი და მკაცრად დაიცვას აღნიშნული სასწავლო კურსის დაუფლებისათვის დადგინლი ყველა

მოთხოვნა. ეთიკური ქცევის ნორმების დარღვევა მნიშვნელოვნად იმოქმედებს მის საბოლოო შეფასებაზე (განსაკუთრებულ შემთხვევებში, აღნიშნული ფაქტი შეიძლება იქცეს ეთიკური კომისიის განხილვის საგანი, ან/და აისახოს დეკანის (ან პროფესორის) მიერ ხელმოწერილ სარეკომენდაციო წერილში).

თემა I

არამატერიალური სიკეთეები და მათი დაცვა

1. არამატერიალური სიკეთეების ცნება და შინაარსი
2. პირადი არაქონებრივი უფლებების პრობლემა ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ-ამერიკულ სამართალში
3. სახელის უფლება
4. უფლება საკუთარ გამოსახულებაზე
5. უფლება პირადი ცხოვრების საიდუმლოებაზე
6. უფლება პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის დაცვაზე
7. არამატერიალურ სიკეთეთა დაცვა

– თემა II

მორალური ზიანის ინსტიტუტის ევოლუციური გზა

1. მოძღვრება მორალური ზიანის ანაზღაურებაზე
2. მორალური ზიანის ინსტიტუტის წარმოშობის ისტორია

– თემა III

მორალური ზიანის ანაზღაურება

1. უფლება მორალური ზიანის ანაზღაურებაზე
2. „გონივრულობისა და სამართლიანობის“ სტანდარტი
3. მორალური ზიანის შეფასების პრობლემა ქართულ სამართალში
4. კომპენსაცია მორალური ზიანისათვის და სასარჩელო ხანდაზმულობა
5. მორალური ზიანი და იურიდიული პირები

– თემა IV

პირადი უფლებების დაცვა გარდაცვალების შემდეგ

1. გარდაცვლილის სახელი
2. გარდაცვლილის პატივი, რეპუტაცია და პირადი ცხოვრების საიდუმლოება
3. გარდაცვლილის გამოსახულება

- თემა V

**მორალური ზიანის კომპენსაციის განსაზღვრა ცალკეული სახის
სამართალდარღვევისათვის**

1. სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლების დარღვევა
2. პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის უფლების დარღვევა
3. თავისუფლების და პირადი ხელშეუხებლობის უფლების დარღვევა
4. პირადი საიდუმლოების უფლების დარღვევა

- თემა VI

პრესა და პირადი არაქონებრივი უფლებები

1. საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ და ახალი სტანდარტები

- თემა VII

მორალური ზიანის ანაზღაურება სასამართლო პრაქტიკაში

1. მორალური ზიანის ანაზღაურება პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის უფლების დარღვევისათვის
2. თავისუფლების და პირადი ხელშეუხებლობის უფლების დარღვევა სასამართლო პრაქტიკაში
3. პირადი საიდუმლოების უფლების დარღვევა სასამართლო პრაქტიკაში
4. ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი მორალური ზიანის ანაზღაურების პრაქტიკაზე

ლიტერატურა:

1. ლადო ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 2000, გვ. 189-202
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი თბ., 2002, გვ. 51-81.
3. შალვა ჩიკვაშვილი, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბ., 1998.
4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, თბ., 2001, გვ. 391.
5. И.А. Покровский, Основные проблемы гражданского права, Проблема нематериальных интересов, статут, 1998, С.132-144.
6. Честь. Достоинство. Деловая репутация: споры с участием СМИ Резник Г.М. Скловский К.И. , статут, 2006 г.

შეფასების ფორმატი და სისტემა

დოქტორანტის ცოდნის მოცულობისა და ხარისხის შეფასებისას სოხუმის პროფესორ აკაკი ჩხარტიშვილის სახელობის ეკონომიკურ-ჰუმანიტარული

უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს შეფასების 100-ქულიანი სისტემით, რომლის თანახმად ქულების განაწილების სქემა გამოიყურება შემდეგნაირად:

91 - 100 ქულა არის შეფასება “ A ” ანუ “წარჩინებული”
81 - 90-მდე ქულა არის შეფასება “ B ” ანუ “ძალიან კარგი”
71 - 80-მდე ქულა არის შეფასება “ C “ ანუ “კარგი”
61 - 70-მდე ქულა არის შეფასება “ D “ ანუ “საშუალო”
51 - 60-მდე ქულა არის შეფასება “ E “ ანუ “დამაკმაყოფილებელი”
41 - 50-მდე ქულა არის შეფასება “ FX ” ანუ “არადამაკმაყოფილებელი”
40 და ნაკლები ქულა არის შეფასება “ F ” ანუ “ცუდი”

დოქტორანტი ვერ მიიღებს დისციპლინაში დადებითი შეფასებას, თუ იგი არ ფლობს საპროგრამო მასალას იმ მოცულობით, რაც სასწავლო დისციპლინის სილაბუსითაა გათვალისწინებული. დისციპლინის დაუფლების შედეგად გამოვლენილი ცოდნის შეფასებისას გათვალისწინებულია:

- **“A” შეფასებას** (“წარჩინებული“- 91-100 ქულა) – იმსახურებს დოქტორანტი, რომელმაც გამოამუშავა სასწავლო-საპროგრამო მასალის ყოველმხრივი, სისტემური და საფუძვლიანი ცოდნა; უზადოდ და გამართულად შეასრულა პროგრამით გათვალისწინებული ყველა დავალება; აითვისა ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა, დამოუკიდებლად მოიძია და დაამუშავა პროფესიული ცოდნის გაღრმავებისათვის მნიშვნელოვანი საინფორმაციო წყაროები; სიღრმისეულად აითვისა დისციპლინის ცნებითი აპარატი, სათანადოდ გაიაზრა ინტერდისციპლინური კავშირებისა და სისტემური ცოდნის მნიშვნელობა მომავალი საქმიანობისათვის;
- **“B” შეფასებას** (“ძალიან კარგი“- 81-90-მდე ქულა) – იმსახურებს დოქტორანტი, რომელმაც გამოამუშავა სასწავლო-საპროგრამო მასალის სისტემური ცოდნა; წარმატებით შეასრულა პროგრამით გათვალისწინებული ყველა დავალება; აითვისა ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა; დაეუფლა დისციპლინის ცნებით აპარატს; სათანადოდ გაიაზრა ინტერდისციპლინური კავშირების მნიშვნელობა მომავალი საქმიანობისათვის;
- **“C” შეფასებას** (“კარგი” - 71-80-მდე ქულა) – იმსახურებს დოქტორანტი, რომელმაც გამოამუშავა სასწავლო-საპროგრამო მასალის სრული ცოდნა, გამართულად შეასრულა პროგრამით გათვალისწინებული დავალებები; აითვისა პროგრამით რეკომენდებული ძირითადი ლიტერატურა; დაეუფლა დისციპლინის ცნებით აპარატს; გამოამუშავა საპროგრამო მასალის თეორიული ცოდნის პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისათვის გამოყენების უნარი, დამოუკიდებელი მუშაობის პრაქტიკული ჩვევები; აგრეთვე შემდგომში სასწავლო მუშაობისა თუ პროფესიული საქმიანობისას შექმნილი ცოდნის დამოუკიდებლად შევსება-განახლების უნარ-ჩვევები.
- **“D” შეფასებას** (“საშუალო“- 61-70-მდე ქულა) – იმსახურებს დოქტორანტი, რომელმაც გამოამუშავა სასწავლო-საპროგრამო მასალის ცოდნა იმ მოცულობით, რაც საკმარისია შემდგომში მისი მომავალი პროფესიული მუშაობისათვის.
- **“E” შეფასებას** („დამაკმაყოფილებელი“- 51-60-მდე ქულა) – იმსახურებს დოქტორანტი , რომელმაც გამოამუშავა სასწავლო-საპროგრამო მასალის არასრულყოფილი ცოდნა; უძნელდება პროგრამით გათვალისწინებული და-

ვალდებულების შესრულება; სრულად არ იცნობს რეკომენდებულ ძირითად ლიტერატურას; დისციპლინის სწავლების პროცესში გამოამუღავნა ლოგიკური აზროვნებისა და შემოქმედებითი მიდგომის მინიმალური დონე.

- **“Fx” შეფასება** („არადამაკმაყოფილებელი” - 41-50-მდე ქულა) – ეწერება **დოქტორანტს**, რომელმაც, გაწეული ძალისხმევის მიუხედავად, ვერ დააკმაყოფილა სასწავლო დისციპლინის დაუფლებისათვის სავალდებულო მოთხოვნები; ვერ გამოამუღავნა ძირითადი სასწავლო-საპროგრამო მასალის ცოდნა; დაუშვა პრინციპული შეცდომები პროგრამით გათვალისწინებული დავალების შესრულების დროს; ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს რეკომენდირებულ ძირითად ლიტერატურაზე.
- **„F“ შეფასება** („ცუდი” - 40 ქულა და ნაკლები) – ეწერება **დოქტორანტს**, რომელმაც სხვადასხვა მიზეზით ვერ დააკმაყოფილა კურსის ათვისების ელემენტარული მოთხოვნები..

სილაბუსში წარმოდგენილი შეფასების სისტემა ეფუძნება **დოქტორანტის ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს**, რაც გულისხმობს მის მიერ სილაბუსით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესრულების ხარისხისა და ცოდნის დაუფლების შედეგების **უწყვეტ შეფასებას**.

დოქტორანტის ცოდნის გამოვლენა და შეფასება ხდება შემდეგი **სამი კომპონენტის** მიხედვით:

ტესტირებით;

სასწავლო-სამეცნიერო დისკუსიაში საუდიტორიო აქტივობით;

რეფერატის პრეზენტაციით;

გამოცდით.

სასწავლო კურსის ათვისებისას დოქტორანტის მიერ ცოდნის დაუფლების მიზნით გაწეული საქმიანობის შეფასება ხდება ზემოთაღნიშნულ ცალკეულ კომპონენტთა შეფასებებით (ჯამით), რომელთა ხვედრითი წილი შეფასების ერთიან სისტემაში განისაზღვრება შემდეგი პროპორციებით:

ა) ტესტირება – 30%

ბ) სასწავლო-სამეცნიერო დისკუსია – 15%

გ) რეფერატის პრეზენტაცია – 15%

დ) გამოცდა – 40%

ნებისმიერ კომპონენტში დადებითი შეფასების მისაღებად დოქტორანტი ვალდებულია მიიღოს **40%** და მეტი. უფრო დაბალი შეფასების შემთხვევაში, დოქტორანტი უფლებამოსილია სასწავლო კურსის დასრულებამდე ადაღინოს თითოეულ კომპონენტში არსებული დავალიანება.

გამოცდა – სასწავლო კურსის ბოლოს ტარდება დასკვნითი გამოცდა წერილობითი ფორმით. საგამოცდო ბილეთებში შერჩეულ საკითხებზე პასუხებით აისახება თითოეული ბლოკის ფარგლებში შესწავლილი მასალის და ბლოკთაშორის კავშირების ათვისების დონე.

